COLCHIAN LANGUAGE AND COLCHIAN BRONZE CULTURE

კოლხური ენა და კოლხური ბრინჯაოს კულტურა

Nino Sulava
Doctor of Historical Sciences National Museum of Georgia
Institute of Archeology Ot. Lordkipanidze Head of the scientific direction of archeology and history,
Tbilisi, Georgia
ORCID ID: 0009-0009-2684-2111
(+995) 599 14 99 96; nino_sulava@yahoo.com

Abstract

The inspiration for this work was a small but excellent article by the late academician Th. Gamkrelidze on the ethnic identification of ancient Colchis.

To answer the questions posed in the article - what language did King Ayet speak and what population met the Argonauts in Colchis - one could draw on archaeological data: the material and cultural situation that existed in Colchis, as well as issues of the chronology and circumstances of the Argonauts' journey.

The culture of the Zan (Megrel-Tchan) speaking population, dating back to the second half of the II millennium and the first half of the I millennium BC, known as the ,,Colchian Bronze Culture" and widespread in Western Georgia and the territory adjacent to it, begins at the time of the voyage of the Argonauts, in the Mycenaean period.

According to Th. Gamkrelidze, the dialect, the ancestor of the Megrelian-Laz language, was distributed in Western Georgia in the era of the arrival of the Greeks, and in this language skin was designated as tqov/tkov. And the Greeks used kov to refer to skin. This word which has no Indo-European cognates and must be regarded as a borrowing from some non-Indo-European source must have been adopted by the Greeks in the country with which they were in contact and where the cult of the sheepskin was widespread.

In our opinion, the cult of the sheepskin is associated with that interest of the Greeks which, according to Strabo, was reflected in the very aim of the Argonauts' journey: ,,the wealth of this country (Colchis) in gold, silver, iron and copper explains to us the reason for the (Argonauts') campaign. The first journey for this purpose was organized by Phrixus...". It was thanks to these interests - metals, metallurgy - that the modern outside world got acquainted with Colchis, the only Caucasian country mentioned in ancient historical sources, and known from Greek mythological subjects (Argonautics, the myth of Prometheus).

In the myth of Argonauts, in addition to the main characters, there are two figures in the form of cult animals of interest in connection with the Colchian Bronze Culture. These are the Golden Fleece, a sheepskin of special cult importance, and the dragon, its guard.

The materials reflecting these animals are found in abundance in the Colchian archaeological material.

Bronze figures of rams/sheep images are presented both as whole sculptures and as additional decorations for pendants and other products in the form of ,,sheep heads"(Martvili, Kharagauli, Brili, Svaneti).

And the dragon is one of the images of a guard, a ,,fantastic animal'', widely distributed in the Colchian Bronze Culture (N. Marr, B. Kuftin, N. Abakelia, N. Sulava, N. Lordkipanidze), which is depicted on almost all items of the Colchian Bronze Culture - from the Colchian ax to fibulae.

The way of life of the bearers of the Colchian Bronze Culture, manifested in cult animals, was reflected in Greek myths.

With the help of these artifacts, the researcher's idea, that is, ethnic identification, received additional support: ,,Medea and Ayet, the people of the country of Aeaea spoke the Colchian language, the ancestor of the Megrelian-Laz. Akaki Shanidze rightly called this ancestral language Colchian".

Key words: Colchian Bronze Culture, Megrelian-Laz language, Colchian language.

ნინო სულავა

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის არქეოლოგიისა და ისტორიის სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელი,
თბილისი, საქართველო
ORCID ID: 0009-0009-2684-2111
(+995) 599 14 99 96; nino_sulava@yahoo.com

აბსრაქტი

ამ ნაშრომის ინსპირაციაა აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის მცირე მოცულობის, მაგრამ შესანიშნავი სტატია, რომელიც ეძღვნება ძველი კოლხეთის ეთნიკურ იდენტიფიკაციას.

სტატიაში დასმული შეკითხვისთვის - ,,რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი? რა მოსახლეობა დახვდათ კოლხეთში არგონავტებს'', შესაძლებელია როგორც პარალელური არქეოლოგიური მონაცემების მისადაგება, ასევე, კოლხეთში არსებული მატერიალურ-კულტურული ვითარების და არგონავტების მოგზაურობის ქრონოლოგიისა თუ გარემოებების საკითხის.

არგონავტების ლაშქრობის დროს, მიკენურ ეპოქაში, კოლხეთში არსებობს ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარითა და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარით დათარიღებული ,,კოლხური ბრინჯაოს კულტურის" სახელით ცნობილი, დასავლეთ საქართველოს და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ფართოდ დამკვიდრებული კულტურა ზანურენოვანი (მეგრულ-ჭანური) მოსახლეობის ეთნიკური მასით.

თ. გამყრელიძის აზრით, ბერძნების მოსვლის ეპოქაში დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო დიალექტი - მეგრულ-ლაზურის წინაპარი, რომელზედაც ტყავი აღინიშნებოდა ტყოვ-ტკოვ ფორმით; ხოლო

ბერძნები ტყავის აღსანიშნავად იყენებდნენ კოვ-ს. ეს სიტყვა, რომელსაც ბერძნულში არ ეძებნება ინდოევროპული შესატყვისი და ბერძნულისთვის უცხო ენობრივი სამყაროდან აღებულად უნდა ჩაითვალოს, ბერძნებმა უთუოდ შეითვისეს იმ ქვეყანაში, რომელთანაც ქონდათ კონტაქტი, და სადაც გავრცელებული იყო ცხვრის ტყავის კულტი.

ჩვენის აზრით კი, ცხვრის ტყავის კულტი დაკავშირებულია ბერძნების იმ ინტერესთან, რაც სტრაბონის მიხედვით აისახა არგონავტების მოგზაურობის მიზანში - ,, . . . ამ ქვეყნის (კოლხეთის) სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით გვიხსნის /არგონავტთა/ ლაშქრობის სწორ საბაბს. ამ მიზნით პირველი მგზავრობა ფრიქსემ მოაწყო . . .''. ეს ინტერესი - ლითონები, მეტალურგია, იყო ის, რითიც კოლხეთი, კავკასიის ერთადერთი, ისტორიულ წყაროებში სახელდებული და ბერძნული მითოლოგიური თემებით (არგონავტიკა, პრომეთეს მითი) ცნობილი ქვეყანა, გაიცნო თანადროულმა გარესამყარომ.

არგონავტების მითში, მთავარი პერსონაჟების გარდა, არის ორი მნიშვნელოვანი პერსონაჟი საკულტო ცხოველის სახით, რომელიც საინტერესოა კოლხურ ბრინჯაოს კულტურასთან დაკავშირებით. ეს არის განსაკუთრებული საკულტო მნიშვნელობის ცხვრის ტყავი, ოქროს საწმისი და ოქროს საწმისის მცველი გველეშაპი.

კოლხეთის არქეოლოგიურ მასალაში მრავლად მოიპოვება ორივე ცხოველის ამსახველი მასალები.

ბრინჯაოს ვერძის ფიგურები/ცხვრის გამოსახულებები წარმოდგენილია, როგორც მთლიანი ქანდაკებების სახით ასევე საკიდებისა და სხვა ნივთებისათვის ,,ცხვრის თავით'' დამატებითი შემკულობის სახით (მარტვილი, ხარაგოული, ბრილი, სვანეთი).

გველეშაპი კი ,,კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში'' ფართოდ გავრცელებული ,,ფანტასტიკური ცხოველის'', მცველის ერთ-ერთი სახეა (ნ. მარი, ბ. კუფტინი, ნ. აბაკელია, ნ. სულავა, ნ. ლორთქიფანიძე), რომელიც გამოსახულია კოლხური ბრინჯაოს კულტურის თითქმის ყველა ნივთზე - კოლხური ცულიდან დაწყებული ფიბულებით დამთავრებული.

კოლხური ბრინჯაოს კულტურის მატარებლების ყოფა, გაცხადებული საკულტო ცხოველებში, აისახა ბერძნულ მითში.

ამ არტეფაქტების მიხედვით გარკვეული საყრდენები დაემატა მკვლევარის მოსაზრებას ანუ ეთნიკურ იდენტიფიკაციას - ,,მედეა და აიეტი, აიას ქვეყნის ხალხი მეტყველებდა მეგრულ-ლაზურის წინაპარ, კოლხურ ენაზე. სახელი, კოლხური, მართებულად უწოდა ამ წინაპარ ენას აკაკი შანიძემ''.

საკვანძო სიტყვები: კოლხური ბრინჯაოს კულტურა, მეგრულ-ლაზური, კოლხური ენა.

შესავალი

ჩვენი ნაშრომის ერთგვარ ინსპირაციად გვესახება აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის საქართველოს სხვადასხვა მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით არაერთხელ გამოქვეყნებული მცირე მოცულობის, მაგრამ ყოველი

ახალი პუბლიკაციისას სხვადასხვა თემებით გამდიდრებული მრავალმხრივ საინტერესო სტატია (გამყრელიძე, 2014: 251-254), რომელიც ეძღვნება ძველი კოლხეთის ეთნიკურ იდენტიფიკაციას.

რადგან გამოჩენილი ენათმეცნიერის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სამეცნიერო მოღვაწეობა გარკვეულწილად არქეოლოგიურ მონაცემებთან, ქართულ-კავკასიურ სიძველეთა კვლევასთანაც იყო დაკავშირებული, ამიტომ სწორედ როგორც არქეოლოგს მიჩნდება გარკვეული მოსაზრებები დასმული შეკითხვიდან გამომდინარე - რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი? და აგრეთვე, საინტერესოდ მესახება ნაშრომში დასმული საკითხებისათვის საფუძველის გამყარების მიზნით პარალელური არქეოლოგიური მონაცემების მისადაგება.

თუ ,,რა მოსახლეობა დახვდათ კოლხეთში არგონავტებს'', ამ შეკითხვას რომ ვუპასუხოთ, პარალელურად უნდა განვიხილოთ, როგორც კოლხეთში არსებული მატერიალურ-კულტურული ვითარების საკითხი, ასევე არგონავტების მოგზაურობის ქრონოლოგიისა და გარემოებების საკითხიც.

მეთოდი

სტატია ემყარება კარგად აპრობირებულ ისტორიულ-შედარებით მეთოდს, ლინგვისტური და არხეოლოგიური მონაცემების შეჯერებას დროსა და სივრცეში.

შედეგები

ლინგვიტიკის მონაცემებზე დამყარებულ მოსაზრებას (აკად. თ. გამყრელიძე), რომლის თანახმად არგონავტების მითის პერსონაჟები, მედეა, აიეტი და აიას ქვეყნის ხალხი მეტყველებდა მეგრულ-ლაზურის წინაპარ, კოლხურ ენაზე, სავსებით ადასტურებს კოლხური ბრინჯაოს კულტურის არტეფაქტები.

მსჯელობა და დასკვნები

არგონავტების ლაშქრობა შავ ზღვაში მიკენურ ეპოქაში ე. ი. დაახლოებით ძვ. წ. XIV-XII საუკუნეებში ივარაუდება (მიქელაძე, 1974: 94-95) (ლორთქიფანიძე, 2002: 124 და შემდ.) (სულავა, 2011: 210, 211). ამ პერიოდს კოლხეთში წინ უსწრებდა ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრისა და ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის (შუაბრინჯაოს ხანის), დასავლურქართველური ტომების - კოლხების წინაპრების მიერ შექმნილი, თვითმყოფადი კერამიკითა და ხელოვნურ თუ ბუნებრივ ბორცვებზე ძელურნაგებობიანი ნამოსახლარებით და საკმაოდ განვითარებული სპილენძის მეტალურგიით (თითქმის ყველა კოლხურ ნამოსახლარზე აღმოჩენილი ყალიბითა და ტიგელებით (სულავა, სახაროვა, 2012: 88-104) (სულავა, რეზესიძე, 2017: 28-37) წარმოდგენილი ე. წ. პროტოკოლხური კულტურა.

რა ვითარებაა ამ დროს კოლხეთში? ამ ხანებიდან იწყება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრითა და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული ,,კოლხური ბრინჯაოს კულტურის" სახელით ცნობილი, დასავლეთ საქართველოს და მის მიმდებარე ტერიტორიაზე

(საკონტაქტო და ინფილტრაციის ზონებით საქართველოს მიმდებარე თურქეთის ტერიტორიიდან მოყოლებული აფხაზეთის მიმდებარე ჩრდილო ნაწილის ჩათვლით, მესხეთის, შიდა ქართლისა და ჩრდ. კავკასიის ნაწილის ჩათვლით. იხ. ლორთქიფანიძე, 2001; სულავა, 2021)

ფართოდ დამკვიდრებული კულტურა ზანურენოვანი ე.ი. მეგრულ-ჭანური მოსახლეობის ეთნიკური მასით (ლორთქიფანიძე, 2002: 151).

თუ ,,კოლხური ბრინჯაოს კულტურას" არქეოლოგიური კულტურის განსაზღვრების თვალსაზრისით განვიხილავთ, მისთვის დამახასიათებელია ყველა ის ნიშანი, რითიც განისაზღვრება არქეოლოგიური კულტურა - მრავალრიცხოვანი და ძლიერი ეთნიკური მასის ტერიტორიის გარკვეულ არეალზე განფენილობა; ამ ეთნიკური მასისათვის დამახასიათებელი, მისი სახის განმსაზღვრავი ლითონის მრავალფეროვანი საომარი და სამეურნეო იარაღი (სამაროვნებზე, განძების სახით და ნასახლარებზე მოპოვებული), რომელიც განვითარებული მეტალურგიის (მადნის მოპოვება, დნობა, არტეფაქტების დამზადება) პროდუქტია, სპეციფიკური კერამიკა, არქიტექტურა, ტოპონიმიკა, რწმენა-წარმოდგენები, ისტორიულ და საერთაშორისო ასპარეზზე სხვადასხვა ქვეყნის ისტორიული, ლიტერატურული თუ მითოლოგიური წყაროების მიხედვით ცნობადობა (სულავა, გილმორი და სხვ., 2020, ლიტ. იხ. იქვე).

როგორც თ. გამყრელიძე თვლის, ბერძნების მოსვლის ეპოქაში დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო დიალექტი - მეგრულ-ლაზურის წინაპარი, რომელზედაც ტყავი აღინიშნებოდა ტყოვ-ტკოვ ფორმით; ხოლო ტყავის აღსანიშნავად ბერძნები იყენებდნენ კოვ-ს. ეს სიტყვა, რომელსაც ბერძნულში არ ეძებნება ინდოევროპული შესატყვისი და ბერძნულისთვის უცხო ენობრივი სამყაროდან აღებულად უნდა ჩაითვალოს, ბერძნებმა უთუოდ შეითვისეს იმ ქვეყანაში, რომელთანაც ქონდათ კონტაქტი, და სადაც გავრცელებული იყო ცხვრის ტყავის კულტი.

ჩვენის აზრით კი, ცხვრის ტყავის კულტი დაკავშირებულია ბერძნების იმ ინტერესთან, რაც სტრაბონის მიხედვით აისახა არგონავტების მოგზაურობის მიზანში - ,,...ამ ქვეყნის (კოლხეთის - ნ. ს.) სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით გვიხსნის /არგონავტთა/ ლაშქრობის სწორ საბაბს. ამ მიზნით პირველი მგზავრობა ფრიქსემ მოაწყო . . .'' (სტრაბონი, 1957: I, 2, 39). ეს ინტერესი - ლითონები, მეტალურგია, იყო ის, რითიც კოლხეთი, კავკასიის ერთადერთი ისტორიულ წყაროებში სახელდებული და ბერძნული მითოლოგიური თემებით (არგონავტიკა, პრომეთეს მითი) ცნობილი ქვეყანა, გაიცნო თანადროულმა გარესამყარომ.

როგორც თ. გამყრელიძე აღნიშნავს, ტყოვ-ტკოვ, კოვ - სიტყვა ,,ტყავისა'' და ,,საწმისის'' აღსანიშნავად ბერძნებმა, სავარაუდოდ, კოლხეთიდან არგონავტების მოგზაურობამდე წაიღეს, მათი ადრეული კონტაქტების დროს კოლხეთის მოსახლეობასთან, როცა არქაული ბერძნული ტომები ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში მოძრაობას იწყებენ ინდოევროპელთა საერთო სამშობლოდან დასავლეთით - წინა აზიაში, ეგეოსისა და პელოპონესისაკენ (ასეთი ადრეული კონტაქტების დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალა ჯერ-ჯერობით არ ჩანს).

არგონავტების მითში მთავარი პერსონაჟების გარდა, არის ორი მნიშვნელოვანი პერსონჟი საკულტო ცხოველის სახით, რომელიც განსაკუთრებით

საინტერესოა ჩვენთვის, კოლხურ ბრინჯაოს კულტურასთან დაკავშირებით. ეს არის განსაკუთრებული საკულტო მნიშვნელობის ცხვრის ტყავი, ოქროს საწმისი და ოქროს საწმისის მცველი გველეშაპი.

ორივე ცხოველის ამსახველი მასალები კოლხეთის არქეოლოგიურ მასალაში მრავლად მოიპოვება.

ბრინჯაოს ვერძის ფიგურები/ცხვრის გამოსახულებები წარმოდგენილია, როგორც მთლიანი ქანდაკებების სახით, ასევე საკიდებისა (მარტვილი, ხარაგოული, ბრილი, სვანეთი) და სხვა ნივთებისათვის ,,ცხვრის თავით'' დამატებითი შემკულობის სახით საკიდებზე და ფიბულებზე (სურ. 1/1-8).



გველეშაპი კი ,,კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში'' ფართოდ გავრცელებული ,,ფანტასტიკური ცხოველის'', მცველის ერთ-ერთი სახეა (ნ. მარი, ბ. კუფტინი, ნ. აბაკელია, ნ. სულავა, ნ. ლორთქიფანიძე), რომელიც გამოსახულია კოლხური ბრინჯაოს კულტურის თითქმის ყველა ნივთზე - მთავარი ნივთიდან, კოლხური ცულიდან დაწყებული, ფიბულებით დამთავრებული (სურ. 2/1-7).

,,ფანტასტიკური ცხოველის'' გამოსახულებებზე ტიპოლოგიური, ქრონოლოგიური, გავრცელებისა და გენეზისის თვალსაზრისით ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებულმა მონაცემებმა დაადასტურა, რომ ამ გამოსახულების ჩამოყალიბება მოხდა კოლხური ბრინჯაოს კულტურის წიაღში, რომლის ფესვებიც საქართველოს, კოლხეთის ტერიტორიაზეა (სულავა, 2022: 21-35).

ამგვარად, კოლხური ბრინჯაოს კულტურის არტეფაქტების მიხედვით, რასაც ეთნოლოგიური მონაცემებიც შეიძლება დაემატოს (რაც ჩვენს კომპეტენციას სცილდება), ვფიქრობთ, მკვლევარის მოსაზრებას ანუ ეთნიკურ იდენტიფიკაციას - ,,მედეა და აიეტი, აიას ქვეყნის ხალხი მეტყველებდა მეგრულ-ლაზურის წინაპარ, კოლხურ ენაზე. სახელი, კოლხური, მართებულად უწოდა ამ წინაპარ ენას აკაკი შანიძემ", გარკვეული საყრდენები დავუმატეთ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

gamqrelidze, t. (2014). *rcheuli tserilebi da gamosvlebi (krebuli).* tbilisi. (გამყრელიძე, თ. (2014). *რჩეული წერილები და გამოსვლები (კრებული).* თბილისი.).

qaukhchishvili, t. (1957). *strabonis geograpia. tsnobebi saqartvelos shesakheb.* tbilisi. (ყაუხჩიშვილი, თ. (1957). *სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ* . თბილისი.).

lortqipanidze, o. (2002). *dzveli kartuli tsivilizatsiis sataveebtan.* tbilisi. (ლორთქიფანიძე, ოთ. (2002). *ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან.* თბილისი.).

mikeladze, t. (1974). *dziebani kolkhetisa da samkrret-aghmosavlet shavizghvi-spiretis udzvelesi mosakhleobis istoriidan (dzv.w.II-I atastsleulebi).* tbilisi. (მიქელაძე, თ. (1974). *ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II-I ათასწლეულები).* თბილისი.).

sulava, n. (2011). *kavkasiis pibulebi (tipologia, kronologia, genezisi).* tbilisi. (სულავა, ნ. (2011). *კავკასიის ფიბულები (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი).* თბილისი.).

sakharova, l. sulava, n. (2012). sakartveloshi aghmochenili brinjaos nivtebis chamosakhmeli qalibebis istoriisatvis. Onlain arqeologia. № 2. (სახაროვა, ლ., სულავა, ნ. (2012). საქართველოში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების ჩამოსასხმელი ყალიბების ისტორიისათვის. ონლაინ არქეოლოგია № 2. თბილისი.).

sulava, n., rezesize n. (2017). martvilis mkharetmtsodneobis muzeumis preistoriuli metalurgiis eksponatebi. martvilis mkharetmtsodneobis muzeumis shromebi. I. tbilisi. (სულავა, ნ. რეზესიძე, ნ. (2017). მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პრეისტორიული მეტალურგიის ექსპონატები. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შრომები. I. თბილისი.).

Sulava, N. Gilmour, Br. Rezesidze, N. Chagelishvili, R. Beridze, T. 2020. The Origin and Development of Prehistoric Copper Metallurgy in Mountainous Colchis (Lechkhumi).Tbilisi.https://issuu.com/gnmuseum/docs/the_origin_and_development_of_prehistoric_copper_m

sulava, n. (2021). kolkhuri brinjaos kultura – miti, spilendzi, realoba. saertaSoriso konperentsia - ,,akhali realoba - muzeumi da pandemia''. quaisi. (სულავა, ნ. (2021). კოლხური ბრინჯაოს კულტურა - მითი, სპილენძი, რეალობა. საერთაშორისო კონფერენცია - ,,ახალი რეალობა - მუზეუმი და პანდემია''. ქუთაისი.).

sulava, n. (2022). kolkhuri brinjaos kultura da ,,pantastikuri tskhoveli'' (tipologia, kronologia, gavrtseleba, genezisi). khelovnebatmtsodneobiti etiudebi. IX. batumi. სულავა ნ. (2022). კოლხური ბრინჯაოს კულტურა და ,,ფანტასტიკური ცხოველი'' (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გავრცელება, გენეზისი). ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები. IX. ბათუმი.

urushadze, a. (1964). dzveli kolkheti argonavtebis tkmulebashi. tbilisi. (ურუშაძე, ა. (1964). ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბილისი.).